

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები	
თანამდებობის /პოზიციის დასახელება	მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის გენდერული და სოციალური ინკლუზიის სპეციალისტი (შტატგარეშე)
კატეგორია	☒ შტატგარეშე ☐ (შტატგარეშე/მომსახურების ხელშეკრულება-ტრენერებისთვის)
შრომის ანაზღაურების ოდენობა (შრომის ანაზღაურების წესის გათვალისწინებით)	650 აშშ დოლარი
ხელშეკრულების ხანგრძლივობა (გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა საჭიროების შესაბამისად)	ნახევარი განაკვეთი
სამუშაოს აღწერა (ფუნქცია მოვალეობები)	- სამუშაოს აღწერა

- პროფესიული განვითარების მასალების, დამხმარე მეთოდებისა და ტრენინგ მოდულების განხილვა და დამტკიცებისთვის საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობა
- გენდერული და სოციალური ინკლუზიის კომპონენტების პროფესიული განვითარების სისტემაში ასახვისათვის მოდულების ავტორებთან მუშაობა (საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, საინფორმაციო მასალების გაზიარება, მოდულების რევიზია, კომენტარების და მოსაზრებების მიწოდება).
- მოდულების განხილვა და მოდულების ავტორებისთვის უკუკავშირის მიწოდება განხილვის პროცესში დადგენილ გენდერულ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული განვითარების მიზნებისთვის მოდულების საბოლოო ვერსიების დამტკიცებაში მონაწილეობა.
- პროფესიული განვითარების მიზნებისთვის მომზადებული სხვა რესურსის (ვიდეოების) დაგეგმვასა და განხილვაში მონაწილეობა.
- ტრენინგების საქმიანობის მონიტორინგი: მოდულების ავტორებისთვის, ფასილიტატორებისთვის, სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების საპილოტე სესიებზე დაკვირვება და უკუკავშირის მიწოდება ტრენინგებისთვის, ანგარიშების მიწოდება პროგრამის მენეჯერისთვის.
- პროექტის მენეჯმენტის ჯგუფსა და საკლასო შეფასების საკითხებში პროექტის მენეჯმენტის კონსულტანტის ექსპერტთან თანამშრომლობით საკლასო დაკვირვების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა.
- პროექტის მენეჯმენტის გუნდისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერული და სოციალური თანასწორობის საკითხებში, რომლებსაც გავლენა აქვს პროფესიულ განვითარებაზე.
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მოთხოვნისამებრ, ხსენებული განხილვებისა და ტრენინგების შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მიწოდება.
- ცენტრის მიერ განსაზღვრული დამატებითი სამუშაოების განხორციელება.

საკვალიფიკაციო
მოთხოვნები

განათლება:

აუცილებელი:

- აკადემიური ხარისხი გენდერულ ან სხვა შესაბამის სფეროში.

სამუშაო გამოცდილება:

აუცილებელი:

- პროფესიული განვითარების პროექტების ფარგლებში გენდერული და სოციალური ინკლუზიის საკითხების შემუშავებისა და მათზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
- პროფესიული განვითარების მასალებსა და აქტივობებში გენდერული და სოციალური საკითხების ინტეგრირების უნარის დემონსტრირება/გამოცდილება.
- ჯგუფებთან მუშაობის, კლიენტთან ურთიერთობების მენეჯმენტისა და ანგარიშების მომზადების გამოცდილება.
- სამინისტროების დონეზე პერსონალისა და ოფიციალური პირებისთვის დახმარებისა და მხარდაჭერის გაწევის გამოცდილება.
- ადგილობრივ კოლეგებთან თანამშრომლობის გამოცდილება უნარების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების აქტივობებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია სოციალური და გენდერული საკითხები.

სასურველია:

- სამინისტროების დონეზე პერსონალსა და ოფიციალურ პირებთან მუშაობის გამოცდილება
- ადგილობრივ კოლეგებთან თანამშრომლობის გამოცდილება უნარების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების აქტივობებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია სოციალური და გენდერული საკითხები.

პიროვნული თვისებები:

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირებულობა

ენების ცოდნა:

ქართული - ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

ინგლისური-ძალიან კარგი (3-ვე კომპონენტი)

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები	პროგრამის დასახელება ცოდნის დონე Microsoft Office Word ძალიან კარგი MS Outlook ძალიან კარგი Microsoft Office Excel ძალიან კარგი Power Point ძალიან კარგი
სამუშაოზე გამოცხადების გრაფიკი: (შინაგანაწესით გათვალისწინებული, თავისუფალი, კონკრეტული დღეები/საათები)	ნახევარი განაკვეთი
სამართლებრივი აქტების ცოდნა	არ არის სავალდებულო
დამატებითი ინფორმაცია	კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა მიუთითოს: ✓ ორი რეკომენდატორის სახელი და გვარი, სამუშაო ადგილისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით; ✓ აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისთვის სასურველი ხელფასი კანდიდატმა შესაბამის გრაფაში სავალდებულოდ უნდა ატვირთოს:

- ✓ სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე (არაუმეტეს 200 სიტყვისა), წარმოდგენილ ვაკანსიაზე დაინტერესების მოტივაციის და კანდიდატის ძლიერი მხარეების შესახებ, რაც განაპირობებს პროექტის დანერგვის წარმატებულობას;
- ✓ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლი.

კონკურსის ეტაპები:

1. განაცხადების გადარჩევა
2. გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

პროექტის აღწერა:

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის წარმოდგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ საქართველოს განათლების სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი გრანტის ფარგლებში წარმოქმნილ ინიციატივას, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიულ განვითარებას, პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსების შექმნას და დანერგვას. აღნიშნული პროექტის პროფესიული განვითარების მიმართულებებში პრიორიტეტულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის უნარების გაძლიერება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების

	ხელშეწყობა პროფესიული განვითარების მიზნებისათვის. პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი. პროექტის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მისი მდგრადობა და შესაბამისობა განათლების სისტემის სტრატეგიასთან.
--	--